

ეთიკის კომისიის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
დისციპლინური დევნის აღმვრაზე უარი თქმის შესახებ

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ემზარ პაქსაძე – კოლეგიის თავმჯდომარე
იური გაზაგაშვილი – კოლეგიის წევრი
ირაკლი კორძახიძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: თ. თ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი 28.02.2011 წელი

საჩივრის რეგისტრაციის №021/11.

საჩივრი შემოტანილია: ადგოკატ ნ. თ. მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადგოკატ ნ. თ. მიმართ ადგოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია

- 1.1 2011 წლის 28 ოქტომბერის ეთიკის კომისიას მომართა მოქალაქე თ. თ. და მოითხოვა ადგომის ნ. მ. მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.
- 1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით აგვისტოს დასაწყისში საადვოკატო მომსახურებისათვის მიმართა ადგომის ნ. მ. საჩივრის ავტორის განმარტებით ადგომის დაპირდა საჯარო რეესტრის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტის გაუქმებას, კერძოდ საჯარო რეესტრის ამონაწერის გაუქმებას.
- 1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით ადგომის ნ. მ. მისცა სრული გარანტია, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერი გაუქმდებოდა და ნაცნობების საშუალებით საქმეს მოაგვარებდნენ.
- 1.4 საჩივრის ავტორს ადგომის ნ. მ. მისცა სრული გარანტია საადვოკატო მომსახურებისათვის 400 ლარი მოსთხოვა.
- 1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას საჯარო რეესტრის სააგენტოში საჩივრი წარდგენილი ჰქონდა, ხოლო ადგომის დახმარებით ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა სურდა. ამასთან, საჩივრის ავტორი აწარმოებდა მოლაპარაკებას მეზობელთან მორიგების თაობაზე.
- 1.6 საჩივრის მიხედვით, ადგომის ნ. მ. განუცხადა, რომ ადმინისტრაციული საჩივრი არასწორად იყო შედგენილი.
- 1.7 საჩივრის ავტორმა ადგომის გადაურიცხა საადვოკატო მომსახურების თანხა 300 ლარი ოდენობით. მხარეებს შორის არსებული შეთანხმების თანახმად, “სასურველი შედეგის არ დადგომის” შემთხვევაში ადგომის თანხას უკან დაუბრუნებდა კლიენტს და დაიტოვებდა მხოლოდ თანხის ნაწილს.
- 1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადგომის ნ. მ. განუცხადა სააგენტოში. საჩივრის ავტორმა, თ. თ. სააგენტოდან, ორი დღის ვადაში მიიღო უარი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადგომის ნ. მ. განუცხადა აქტის გასაჩივრების თაობაზე.
- 1.9 საჩივრის მიხედვით, თენციზ თეთვაძემ ადგომის ნ. მ. მოსთხოვა თანხის უკან დაბრუნება, რაზეც უარი მიიღო და ყოველივე ამის შემდეგ ადგომის ნ. მ. განუცხადა ადგომის ნ. მ. განუცხადა.

2. ადგომის პოზიცია

- 2.1 ადგომის ნ. მ. ეთიკის კომისიის წინაშე წერილობითი ახსნა-განმარტება წარადგინა.

- 2.2 ადვოკატის ახსნა-განმარტებით, საჩივრის ავტორი, თ. თ. მისი კლიენტი იყო, რომელსაც წარმოადგენდა საჯარო რეესტრის სააგენტოსთან ურთიერთობისას. ადვოკატი განმარტავს, რომ თავდაპირველად იგი გაეცნო კლიენტის მიერ წარმოდგენილ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმის მასალებს. ადვოკატი საქმის მასალების შესწავლის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საჯარო რეესტრის მონაცემებში ხარვეზის შესწორების მოთხოვნა უნდა დაეყენებინა, რასაც კლიენტი დაეთანხმა.
- 2.3 ადვოკატის განმარტებით კლიენტმა კანონით დადგენილი წესით გადაუხადა საადვოკატო მომსახურების თანხა და დაიწყო საადვოკატო მომსახურების გაწევა.
- 2.4 ადვოკატმა კლიენტს განუმარტა, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ხარვეზის შესწორების მიზნით განცხადებით უნდა მიემართოთ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის. ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, განცხადება მოამზადა აღნიშნული მოთხოვნით და შეიტანა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში.
- 2.5 ადვოკატი აღნიშნავს, რომ მან კლიენტს განუმარტა ხარვეზის შესწორებაზე უარის თქმის შემთხვევაში გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წესით უნდა გაესაჩივრებინათ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.
- 2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურიდან მან უარი მიიღო განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე, შესაბამისად აღნიშნული უარი გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ადმინისტრაციული წესით. ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად, მან კლიენტს განუმარტა, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, საჯარო რეესტრის გადაწყვეტილება სასამართლოში უნდა გაესაჩივრებინა. ამასთან, ადვოკატმა კლიენტს მისცა რჩევა დავა მოლაპარაკების გზით გადაწყვიტა.
- 2.7 ადვოკატმა ეთიკის კომისიის წინაშე წარდგენილ ახსნა-განმარტებაში მიუთითა, რომ მას არ მიუცია კლიენტისთვის დაპირება “სასურველ შედეგთან” დაკავშირებით. ადვოკატი ასევე არ ადასტურებს თანხის უკან დაბრუნების თაობაზე შეთანხმების არსებობას.
- 2.8 ადვოკატის ახსნა-განმარტების თანახმად საბოლოოდ მისი კლიენტი მოწინააღმდეგე მხარესთან მორიგდა.
- 2.9 ადვოკატი აღნიშნავს, რომ მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონდა კლიენტის ინტერესების და მისდამი ნდობის პრინციპის დარღვევას. ამასთან, ადვოკატის განცხადებით იგი კვალიფიციურად ახორციელებდა წარმომადგენლობას და კვალიფიციურად აძლევდა კლიენტს რჩევებს.
- 2.10 ადვოკატი განმარტავს, რომ იგი კლიენტს აწვდიდა ყველა ინფორმაციას საქმის მსვლელობისა და მიმდინარეობის თაობაზე. რაც შეეხება ანაზღაურების საკითხს, ადვოკატი უთითებს, რომ იგი კლიენტისათვის

წინასწარ იყო ცნობილი, რომელიც საქმის სირთულიდან, მოცულობიდან და კვალიფიკაციიდან გამომდინარეობდა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადგოკატი 6. ო. არის საქართველოს ადგოკატთა ასოციაციის წევრი სიითი №. ადგოკატის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, ის არ არის გარიცხული საქართველოს ადგოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ო. ო. 2011 წლის 28 თებერვალს მიმართა ეთიკის კომისიას.

3.3 სადაც ქმედება განხორციელებულია 2010 წლის 10 აგვისტოს. „ადგოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღმვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ 6. ო მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადგოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და ადგოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების 30-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღმვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადგოკატმა არაკვალიფიციურად განახორციელა წარმომადგენლობა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

- ამონაწერი ძალაში დარჩა, ამასთან ადვოკატმა კლიენტი არ ჩართო ადმინისტრაციულ წარმოებაში.
- 5.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთისლინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა”.
- 5.3 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებისა და მინიჭებული რწმუნების საფუძველზე იმოქმედოს კლიენტის ინტერესების დასაცავად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად
- 5.4 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად არ დასტურდება, ადვოკატის მხრიდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დარღვევა. საპროცესო კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა სათანადოდ არ განახორციელა წარმომადგენლობა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.
- 5.5 საპროცესო კოლეგია თვლის, რომ ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ადვოკატმა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით წარადგინა განცხადება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში – რეესტრის ჩანაწერში ხარვეზის შესწორების მიზნით. სააგენტომ განცხადება არ დაკმაყოფილდა და ადვოკატმა იყი ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრა. ადვოკატის ახსნა-განმარტებით დასტურდება, რომ ადვოკატმა კლიენტს განუმარტა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობა.
- 5.6 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ წარმოების მხარეებს წარმოადგენენ ფიზიკური პირები. ამასთან, განცხადების შეტანის მომენტიდან განმცხადებელი თავად წარმოადგენდა ადმინისტრაციული წარმოების მხარეს და ჩაბმული იყო ადმინისტრაციულ წარმოებაში. შესაბამისად, საჩივრის ავტორის განცხადება, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში ადვოკატმა არ ჩააბა არასწორია. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის წესები მოწესრიგებულია კანონმდებლობით – ზოგადი ამინისტრაციული კოდექსით და ადვოკატებს ან სხვა პირებს არ შესწევთ უნარი სხვაგარად დაარეგულირონ აღნიშნული საკითხები.
- 5.7 საპროცესო კოლეგია ასევე აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალების – ადვოკატ ნ. ო. ახსნა-განმარტებით არ დასტურდება, რომ ადვოკატი კლიენტს დაპირდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ნაცნობების საშუალებით “სასურველ შედეგს”. ადვოკატის ახსნა-განმარტებით მან წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი და თავად ადმინისტრაციული ორგანოს – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

- დისკრეცია გახლდათ დააკმაყოფილებდა თუ არა ადმინისტრაციულ საჩივარს.
- 5.8 საპროცესო კოლეგიას მნიშვნელოვნად მიაჩნია განმარტოს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებებისა და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს, თუ რამდენად სწორად და სამართლებრივად გამართულად დაასაბუთა ადვოკატმა განცხადება და ადმინისტრაციული საჩივარი. შესაბამისად, ის ვერ შეიჭრება კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობაში იმ მხრივ, რომ შეფასება გაუკეთოს ადვოკატის მიერ განხორციელებულ სამართლებრივ დასაბუთებას.
- 5.9 საპროცესო კოლეგია დაეყრდნო მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებას (განაცხადი №C-309/99; J.C.J. Wouters and others vs Algemene Raad van de Nederlandse Orde van Advocaten): „ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს. გარდა ამისა, იურიდიული მომსახურების ბაზარზე კლიენტი აკეთებს არჩევანს, თუ რომელი ადვოკატის მომსახურება მიიღოს და შესაბამისად წინასწარ უნდა ითვალისწინებს მისი კვალიფიკაციის ხარისხს.”
- 5.10 საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ ნ. ო. ქმედებებში ვერ აღმოაჩინა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევის ნიშნები. საპროცესო კოლეგიას მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. ო. მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის ადგვრის საფუძველი.

III. სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით და 31-ე მუხლით და გადაწყვიტა:

- თ. თ. 2011 წლის 28 თებერვლის საჩივარი არ დააკმაყოფილდეს. საჩივრის ავტორს უარი ეთქვას ადვოკატ ნ. ო. მიმართ, სიითი № დისციპლინური დევნის ადგვრის თაობაზე.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე - ემზარ პაქსაძე

კოლეგიის წევრი - იური ვაზაგაშვილი

კოლეგიის წევრი - ირაკლი კორძახია